



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1804
19/10/2018

ქალაქი ბათუმი

1804-05-4-201810191740



„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციის (სამუშაოს აღწერილობა) დამტკიცების შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 22 მარტის №583 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ქეთევან დევადის 2018 წლის 15 ოქტომბრის №2984-05 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 08 ოქტომბრის №1765 ბრძანების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციის (სამუშაოს აღწერილობა) დამტკიცების შესახებ“- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 22 მარტის №583 ბრძანებით დამტკიცებულ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების - ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის საკითხებში, IV რანგის I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტისა და III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივ ინსტრუქციაში (სამუშაოს აღწერილობა) შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანახმად დანართისა.

2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

